




# ხაშურის მთაშუა



№37 (238)

30 სექტემბერი, ორშაბათი,

2019 წელი

- ხაშურქალაქობა - 2019 -

## როცა გუდს უხარია, წვიმა განწყობას ვერ შეცვლის...

თითქოსდა, დაგკარგე ხმაურში,  
ამინდი გაგვიშლის პასუხსს,  
გაწვიმდა?

იწვიმოს, გაუშვი -

გული ხომ სიყვარულით სავსეა...

ცნობილი პოეტის ეს ლექსი, თითქოსდა, აბსოლუტური სიზუსტით, ესადაგებოდა 28 სექტემბერს, დღეს, როდესაც ჩვენმა ქალაქმა საკუთარი დღესასწაული იხეიმა. ზოგადად, დღესასწაულების ნაკლებობას ქართველები არ ვუჩივით, საკმაოდ გვაქვს ასეთი დღეები როგორც რელიგიური, ასევე სამოქალაქო, მაგრამ მათ შორისაც საკუთარი ქალაქის დღესასწაულს, ერთგვარად, გამოირჩეუ-



უოფილი აგურის ქარხნის ტერიტორიაზე, ე.წ. „ლიეტუვის პარკში“ მეუფე სვიმეონმა, ლიეტუვის ელჩმა და მოსახლეობამ 450 უნიკალური ჯიშის ნერგი დარგეს.

უხდებოდათ სცენარის შეცვლა. საბედნიეროდ, მათ ღირსეულად გაართვეს თავი ყველაფერს და უამინდობამ სრულებითაც ვერ დააატყო თავისი „მსახურალი“ ხელი დღესასწაულს.



2010 წელს ჩაეყარა საფუძველი ხაშურქალაქობას. მეცხრე წელია აღვნიშნავთ ამ დღეს და ყოველწლიურად უფრო მოცულობითი ხდება ეს დღესასწაუ-



უცხოელი სტუმრები აღფრთოვანებულები დარჩნენ წმინდა დიმიტრი ყიფიანის ახლადრეაბილიტირებული სახლ-მუზეუმით.

ლი. თუ პირველ წელს მხოლოდ უკრაინული დელეგაცია გვსტუმრობდა, წელს ხუთი ქვეყნის შვიდი ქალაქის წარმომადგენლობას ვუმასპინძლეთ: პოლონეთიდან ქალაქების - ტარნოვისა და შრემის წარმომადგენლები იყვნენ ჩვენი მუნიციპალიტეტის სტუმრები, ლიეტუვიდან ქალაქ რადვილიშკისის დელეგაცია გვმწვია, ლატვიას ქალაქი ბაუსკა წარმომადგენდა, ბელარუსიდან - გორკი,

(დასასრული II გვერდზე)



ხაშურქალაქობაზე უკრაინის ქალაქ ობუხოვსა და ხაშურს შორის მეგობრობისა და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

ლი ადგილი უჭირავს. ესაა დღე, როდესაც მთელი ქალაქი, თითქოსდა, ერთიანი განწყობით იღვიძებს, განწყობით და შეგრძნებით, რომ შენი ქალაქი, შენი სახლი ზეიმობს და შენც ამ ზეიმის მთავარი ფიგურანტი ხდები, რადგან შენ ხარ სწორედ ეს სახლი, შენ ხარ სწორედ ეს ქალაქი და სიყვარული, რომელიც მისდამი გაგანია, ერთბაშად, ასმაგად გეხვევა თავზე...



უცხოელი დელეგაციების ოფიციალური მიღება სასტუმრო „ივერიის“ საკონფერენციო დარბაზში შედგა

ეს დღე, 28 სექტემბერი, ჯერ კიდევ ზაფხულის დასაწყისში დაიგეგმა. დღესასწაულისთვის მზადებაც მაშინ დაიწყო. გაითვალა ყველა ნიუანსი, გაიწერა ყველა წერილმანი, მაგრამ ისეთ გამოცდას, რომელიც ბუნებამ მოგვიწყო ამ დღეს, მაინც არავინ ელოდა. 28-ში დილაადრიან რომ დაიწყო, კარგი „ბარაქიანი“ წვიმა, თითქმის მთელი დღე არ განგრეობულა. მერიის თანამშრომლებს, განსაკუთრებით კი კულტურის სამსახურის და მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას (მართლაც ბრავო და მადლობა მათ, რომ უძილო ღამეები და თავდაუზოგავი შრომა ჩადეს, რომ ზეიმი შემდგარიყო) გზადაგზა

(დასასრული)

უკრაინა ნოვგოროდ-ვოლინსკი და ობუხოვითი იყო წარმოდგენილი, ამას დაუმატეთ სტუმრები მეზობელი თუ საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებიდან და, ვფიქრობთ, მასშტაბი სრულიად გასაგები იქნება. ღირსეულად დახვდა ჩვენი ქალაქი სტუმრებს. უცხოელები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ და ყველა ერთხმად აღნიშნავდა ხაშურელთა საოცარ სტუმართმოყვარეობას.

გიორგი გურასბაშვილი, მუნიციპალიტეტის მერი: ძალიან გვანერვიულა ამინდმა, როდესაც ამდენ შრომას ჩადებ, ბუნებრივია, გვინდა, რომ ყველაფერი იდეალურად იყოს. თუმცა, მაინც მოხერხდა, რომ ამინდის ჭირვეულობა მეორეხარისხოვანი გამხდარიყო. თქვენ თვითონაც ხედავთ, რომ ყველა სიხარულს გამოხატავს და ესაა მთავარი. და ერთიც: როდესაც ამდენ მოზიემე ხალხს უყურებ, კიდევ ერთხელ რწმუნდები, როგორ უყვართ ხაშურელებს თავისი ქალაქი, ეს კი პირდაპირი გარანტიაა, რომ ჩვენს ქალაქს მომავალი აქვს. კიდევ



მაინც არ ველოდი. მადლობა ყველას, მადლობა თქვენს ქალაქს და გილოცავთ...

იონას პოვილაიტისი (ლიეტუვა, ქალაქი რადვილიშკისი): უკვე მესამედ ვსტუმრობ საქართველოს და ყოველ წელს სრულებით ახალ აღმოჩენებს ვაკეთებ. მეც და ჩემი თანამემამულეებიც აღფრთოვანებული ვართ თქვენი ქვეყნით და ეს განწყობა აისახება კიდევ ჩვენს სამშობლოზე. თუნდაც ეს რად ღირს, რომ წელს ლიეტუვიდან ყველაზე მეტი ტურისტი სწორედ საქართველოს ეწვია, მათი რიცხვი კი ყოველწლიურად იზრდება.

იგორ იუშმანოვი (უკრაინა, ქალაქი ნოვგოროდ-ვოლინსკი): ჩვენთვის „ორმაგი დატვირთვა“ ჰქონდა თქვენთან სტუმრობას: თქვენთან ერთად გვეზიდა ხაშურქალაქობა და თქვენთან ერთად აღგვინიშნა დიდი უკრაინელი პოეტი



ერთხელ გულოცავთ თითოეულ ხაშურელს ამ დღესასწაულს...

მიხეილ ჯანაშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: - უამინდობის მიუხედავად, მიხარია, რომ ზეიმი შედგა. შედგა ღირსეულად. სასიამოვნოა, რომ ჩვენი ქალაქის ზეიმი უკვე შვიდი ქვეყნის დამეგობრებული ქალაქების კალენდარზეა მონიშნული. ასეთი მეგობრობა კი აუცილებლად აისახება ინვესტიციების ზრდაზე და ეკონომიკურ კეთილდღეობაზე. ვოლო-



უცხოელმა სტუმრებმა ჩურჩხელების ამოვლებაც ისწავლეს.

ცავ ყველას ამ დღესასწაულს...

ვალდის ვეიზი (ლატვია, ქალაქი ბაუსკა): საოცარი ხალხი ხართ ქართველები, მე ვიცოდი თქვენი სტუმართმოყვარეობის შესახებ, მაგრამ მსგავსს



ლესია უკრაინკას ძეგლი გვირგვინებით შეიმკო.



სტუმრად სურამის III საჯარო სკოლაში.

ქალის - ლესია უკრაინკასადმი მიძღვნილი ზეიმი „ლესიაობა“. შესანიშნავი იყო ყველაფერი. მადლობა თქვენ ასეთი მასპინძლობისთვის...

ელენე ტაბატაძე (ხაშურის მკვდრი, ზეიმის რიგითი მონაწილე): ძალიან მიყვარს ჩემი ქალაქი, წვიმა კი არა, ათჯერ უარესი რომ ყოფილიყო, მაინც გამოვიდოდი ხაშურის ქუჩებში და ყველას მივულოცავდი. ხედავთ ახლაც შვილიშვილებთან ერთად ვარ და მათთან ერთად ვზეიმობ. გილოცავთ თქვენც...

გვიან დამემდე გაგრძელდა ზეიმი. დღესასწაულის მონაწილეთა განწყობა კი შესანიშნავად აამაღლეს ადგილობრივმა თვითშემოქმედებებმა ანსამბლებმა და მომდერაღთა გუნდებმა. სადამო კი ბრწყინვალედ დაასრულეს „ღამის შოუს“ ბენდმა და სახელმწიფო ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ნართები“.

ღამის ათ საათზე ფოიერვერკები შეასკდა ცას. ცაში ატყორცნილი მანათობელი ბურთულების ფონზე კი მართლაც სიმბოლური იყო მოხუცი მანდილოსნის ნათქვამი: „აი, უკვე ცაშიც გაიგეს, როგორ გვიყვარს ჩვენი ქალაქი და მწამს, უფალი ყოველთვის დაიცავს მას.“

### „ლესიაობა“ სურამში

ძნელია უკრაინისა და საქართველოს კულტურულ თუ სხვა სახის კავშირებზე ილაპარაკო და არ გაგახსენდეს ლესია უკრაინკა - დიდი პოეტი ქალი, რომელსაც თანაბარი სიყვარულით უყვარდა საქართველო და უკრაინა, ქართველი და უკრაინელი ხალხები. „მე რომ არ დაგვადებულებიყავი უკრაინელად, ქართველობას ვისურვებდი“ - ეს სიტყვებიც მას ეკუთვნის, ლესია უკრაინკას, პოეტ ქალს, რომელმაც თავის ხანმოკლე სიცოცხლის მნიშვნელოვანი და ყველაზე ნაყოფიერი წლები საქართველოში გაატარა. ბავშვობაში ძეგლის ტუბერკულოზით დაავადებულმა პოეტმა ქალმა მხოლოდ 42 წელი იცოცხლა, თუმცა ესეც მხოლოდ საქართველოს მკურნალი ბუნებისა და საქართველოში შექმნილი მეგობრების სიყვარულის წყალობით.

სურამი - მისი მშრალი და მკურნალი ჰავა - იყო პოეტი ქალის უკანასკნელი იმედი. სწორედ სურამში, ზინდისში, დალია უკრაინელმა პოეტმა სული.

ის მართლაც აქაა გადარცვალეებიდან 106 წლის შემდეგაც. საქმე ისაა, რომ საქართველოში (დაბა სურამში) ლესიაობა - პოეტის დაბადების დღისადმი მიძღვნილი დღესასწაული 1952 წლიდან აღინიშნება.

წელსაც, როგორც წინა წლებში, განსაკუთრებული პატივისცემით აღინიშნა ლესიაობის ტრადიციული, დღესასწაულად ქცეული დღე. ეს დღე, ორი ქვეყნის,

დღევანდელ ნომერში, გთავაზობთ ამონარიდებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტური სასწავლო ჟურნალიდან სახელწოდებით „გზა-ვნილი ხაშურიდან“, რომელიც მთლიანად ჩვენს მუნიციპალიტეტს დაეთმო. „ხაშური დღეს“, ოთხ კვლევაში გაცოცხლებული ისტორია, „გზა-ვნილი სა-ოკუპაციო სოფლიდან“ – ეს იმ თემების ნაწილია, რომლებიც ჟურნალის შემქმნელებმა წარმოგვიდგინეს. აგრეთვე, ჟურნალში ძირითადი ადგილი უკავია ადამიანებს, რომლებიც მუნიციპალიტეტს მნიშვნელობას სძენენ. როგორც რედაქტორმა ნინო წვერაძემ აღნიშნა: „რა თქმა უნდა, ყველამ ვიცოდით ხაშურის შესახებ, შეუძლებელია არ გეცოდნოდა, რადგან ეს სწორედ ის გზაა, რომელსაც წელიწადში რამდენჯერმე გავდივართ. დიახ, თითქოს ჩვენც იგივე წარმოდგენა გვქონდა, რაც უამრავ სხვა ადამიანს და ხაშურს აღვიქვამდით. როგორც ნაზუქებისა და ჰამაკების მუნიციპალიტეტს, როგორც იმ გზას, რომელსაც გავდივართ საქართველოს სხვადასხვა ნაწილში მოსახვედრად. თუმცა ჩვენი მოგზაურობის დასასრულს, თბილისისკენ სამარშუტო ტაქსით



მომავალთ, გულთა და გონებით სულ სხვა დამოკიდებულება მოგვქონდა. თუკი ჩვენი ჟურნალი, მათში მოთხრობილი ამბები და წარმოდგენილი ადამიანები თქვენს გულში სულ მცირე ადგილის დაკავებას მაინც შეძლებენ, ჩავთვლით, რომ ჩანაფიქრი განვახორციელებთ და მიზანს მივაღწევთ.

### ხაშური დღეს

ხაშური რომ ნამდვილად „საქართველოს გულია“ ამას არამხოლოდ მისი გეოგრაფიული მდებარეობა და სატრანსპორტო მნიშვნელობა, არამედ მისი კულტურა, ტრადიციები და, რა თქმა უნდა ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს. ხაშურის ხსენებისას, ალბათ, ბევრ ადამიანს წარმოუდგება თვალწინ გზის პირზე გამოფენილი ფერად-ფერადი ჰამაკები და თონეების წინ ჩამწკრივებული „თინას“, „სერგოს“ თუ „ნანულის“ ნაზუქები. მართლაც, გაჭირვების უამრავი, ადგილობრივების ეკონომიკურად გაძლიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას ხელნაკეთი ჰამაკები და ნაზუქები წარმოადგენდა, მას შემდეგ კი ეს ორი ატრიბუტი ამ მხარის საგიზიტო ბარათად იქცა, ხაშურის მაგისტრალზე მიმავალთ, ალბათ, ვერც წარმოუდგენიათ, რომ ხაშური ბევრად მეტია, ვიდრე მხოლოდ მოწნული საქანელა ან ოქროსფერი, ტკბილი ფუნთუშა.

ხაშურს ხმაური არ უყვარს. აქ მნიშვნელოვანი ამბებიც ზარ-ზეიმისა და პომპეზურობის გარეშე ხდება. სწორედ ამიტომ, ალბათ ცოტამ თუ იცის, რომ მუნიციპალიტეტის ფარგლებში უამრავი წარმატებული ახალგაზრდაა, ზოგიერთი მათგანი, საკუთარი შრომისა და ცოდნის წყალობით, მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში აგრძელებს სწავლას, ზოგი ქართული სიმღერისა და ცეკვის პოპულარიზაციას ეწევა, ქვეყნის საზღვრებს გარეთ, ზოგი კი ისეთ მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს, როგორც ხატვერაა.

ხაშურში ამჟამად მოქმედებს 32 საჯარო სკოლა და ერთი კერძო სასწავლებელი, სადაც 7800 მოსწავლეს 871 მასწავლებელი ემსახურება. სკოლა-ამდელი ბავშვებისათვის ფუნქციონირებს 18 საბავშვო ბაღი, მზრუნველობამოკლებულთათვის კი 3 კერძო სახლი. პატარებისათვის, და არამხოლოდ, ხაშურის თოჯინების თეატრი აქტიურად მუშაობს და აწეობს სხვადასხვა წარმოდგენას. აქ ხშირად იდგმება სპექტაკლები ახალგაზრდული დასის მონაწილეობითაც. მოზარდთა ცოდნისა თუ ცნობიერების ამაღლების პროცესში ჩართულია, ასევე, ცენტრალური ბიბლიოთეკა და სამუხეუმო გაერთიანება, სადაც ხშირად იკრიბებიან სკოლის მოსწავლეები და გეგმავენ სხვადასხვა პროექტს თუ აქტივობას. განათლება მუნიციპალიტეტის მერიისთვის პრიორიტეტია, თუმცა ისინი თანაბრად ზრუნავენ სოფლის მეურნეობის განვითარებაზეც. მოსახლეობის უმეტესობა მეზობლანობასა და მეცხოველეობას მისდევს საკუთარი ძალებითა თუ სახელმწიფოს დახმარებით. მეურნეები ცდილობენ შეინარჩუნონ იშვიათი ჯიშები, აშენებენ მარწყვის ბაღებს, ვენახებს, აწარმოებენ საკუთარ ღვინოს. ბაღსა და ბოსტანში მუშაობისას კი გლეხი დღეში რამდენჯერმე გაიგებს ელმავლის ხმას, როგორც ამოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მაკავშირებელ ზარს.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, ხაშურში პრობლემაც ბევრია, განსაკუთრებით თვალშისაცემია წყალმომარაგების გაუმართაობა, რაც არამხოლოდ ყოველდღიურ ცხოვრებაში, არამედ სამეურნეო საქმიანობაშიც ბევრ დაბრკოლებას ქმნის. მოსახლეობა მდინარეებისა და არხების დაბინძურებაზეც საუბრობს. ხაშურის ქუჩებში ხშირად შეხვდებით მიტოვებულ, ჩამონგრეულ ძველ შენობებს – მათი უმეტესობა ფაბრიკა-ქარხნები იყო. რომელთა დახურვის შედეგადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი უმუშევარი დარჩა. ის ფაქტი, რომ 1948 წელს სურამი რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტად გამოცხადდა, ამ მხარის ტურისტული პოტენციალი სააშკარაოზე გამოაქვს და ცხადყოფს, რომ ეს ადგილი შესაძლოა, კვლავ გახდეს ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი

საქმიანი, კულტურული, გასტრონომიული თუ ეკო-ტურიზმის ზონა.

ისტორიული წარსული, კულტურული ძეგლები, ღირსშენიშნაობები, ბუნება, მინერალური წყლები განსაკუთრებული თვისებების მქონე ჰაერი, წესხვეულები და ტრადიციები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ მხარის პოტენციალს და ამტკიცებს, რომ ხაშური ბევრად მეტია, ვიდრე მხოლოდ ნაზუქი და ჰამაკი!

### ოთხ კედელში გაცოცხლებული ისტორია

თუკი არ გჯერათ, რომ ხაშური ბევრად მეტია, ვიდრე „ჰამაკებისა და ნაზუქების მუნიციპალიტეტი“, აუცილებლად ესტუმრეთ მის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. მაშინ კი მიხვდებით, რა ტრადიციებისა და ისტორიის მქონეა ეს ქალაქი.

რაიონის ტერიტორიაზე შეგროვებული ისტორიული მემკვიდრეობის ნიმუშების საფუძველზე, აღნიშნული მუზეუმი 1959 წელს დაარსდა, თუმცა პირელი დამთავალიერებლები მალევე ვერ მიიღო, რადგან არ გააჩნდა შესაბამისი ინფრასტრუქტურა. მისი ფონდი თავდაპირველად მხოლოდ თანამშრომელებისა და ადგილობრივი მხარეთმცოდნეობის მიერ შეგროვებულ ორასამდე ექსპონატს მოიცავდა. დღეს კი უკვე მუზეუმში ას ხუთი ათასი ექსპონატია დაცული და ამ რაოდენობით აღნიშნული მუზეუმი ერთ-ერთ პირველ ადგილსაც იკავებს. მისი განსაკუთრებულობა იმაშიც მდგომარეობს, რომ დაახლოებით ოთხმოცი ათსზე მეტი ნივთი არქეოლოგიური გათხრების შედეგადაა აღმოჩენილი შესაბამისად, დამთავალიერებლებს საშუალება აქვთ, გაიგონ ის, რაც წინაპართაგან მიწამ შემოგვინახა. გაეცნონ მათ კულტურას, შეიცნონ ადრეული ცხოვრების სტილი და სხვა. საკმარისია, ზღუბრდს გადავაბიჯოთ, რომ ვიგრძნობთ განსხვავებული ეპოქებისა და საზოგადოების თანხვედრასა და ერთიანობას. საგამოფენო სივრცის სიმცირისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის უქონლობის გამო, მნიშვნელოვანი ექსპონატები მხოლოდ წიგნებში ცხოვრობენ და ადამიანებს სწორედ ასე უამბობენ ქვეყნის ისტორიას. მუზეუმის საცავში ინახება თიხის ჭურჭელი, სხვადასხვა ზომისა და ფორმის დოქები, ფიალები, ქოთნები, ასევე ბრინჯაოსა და რკინის შრომისა და საბრძოლო იარაღები, დანები, ხანჯლები, თოხები, სამკაულები. აქვე შევხვდებით ქვის ხანის არტეფაქტებსა და ნუმიზმატიკურ კოლექციას. სწორედ ამ ტერიტორიაზე გადიოდა „აბრეშუმის გზა“, რამაც განაპირობა მონეტების სიმრავლე და მრავალფეროვანება. როგორც ხაშურის მუზეუმის საცავის მცველი, მზია ლობჯანიძე გვიამბობს, მუზეუმის ისტორიაში ძალიან მნიშვნელოვანი თარიღს 1976 წელი წარმოადგენს – სწორედ ამ დროს დაიწყო არქეოლოგიური ექსპედიცია ხაშურის რაიონის მიმდებარე ტერიტორიაზე. „ექსპედიციის დროს აღმოაჩინეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე XVII-XV საუკუნეებით და დათარიღებული სამაროვანი, რომლის სახელია წაღვლის „მიქელანთ ვერხვების“ სამაროვანი. აქ არსებულ 94-ე სამარხში ნაპოვნი კვერი – პირველ საღვთო იარაღი მთელ კავკასიაში. აქვე ვხვდებით ძალიან საინტერესო კერამიკულ მასალას, ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი ქვებისგან დამზადებულ სამკაულებს“. სამუხეუმო სივრცეში ექსპონატების დათვალიერებისას შევნიშნავთ წიგნებსაც, რომლებიც ჩვენამდე რამდენიმე საუკუნით ადრე დაიწერა. ერთ-ერთი ასეთი წიგნია მე-17 საუკუნით დათარიღებული სახარება, რომელიც განსაკუთრებული ოსტატობით მოყვანილი ასოების გამო თავდაპირველად ნაბეჭდი ეგონათ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ის სხვადასხვა ავტორის მიერაა დაწერილი, თუმცა ტექნიკამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ჩატარებული ექსპერტიზით კი გაირკვა, რომ აღნიშნული წიგნი ხელით იყო ნაწერი. აქვე შევხვდებით ვახტანგ VI-ის სახარებასაც, რომელიც ერთ-ერთია იმ რამდენიმე ეგზემპლარისგან, რომელიც საქართველოში არსებობს.

მუზეუმის პატარა სივრცეში სიარულისას, დამთვალიერებლის თვალს არ გამოეპარება აქ დაცული ხატები, რომელთა თავდაპირველი სახეც დროის სვლამ დააზიანა, თუმცა მათი ფრაგმენტებიც კი საკმარისია იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ, როგორი შეიძლება ყოფილიყო შექმნის მომენტში. განსაკუთრებით თვალშისაცემია ზეთის საღებავითა და ოქროსფურცლით შესრულებული მაცხოვრის ხატი, მის გვერდით კი ვხვდებით სხვადასხვა სარიტუალო დანიშნულების საეკლესიო სარიტუალო დანიშნულების საეკლესიო ნივთებსაც. ხატების ნაწილს მუზეუმის დახმარებით რესტავრაციაც ჩატარდა და დაზიანებული ნაწილები აღუდგა.

აქ მოსული ადამიანი, ყოველი მომდევნო ნაბიჯის გადაგმისას, სხვადასხვა ეპოქის ნაწილი ხდება. კუთხეში მრავლად შეხვდებით დასავლურ, აღმოსავლურ და რუსული ტიპის „სამოურებს“, რომლებიც რამდენჯერმე ევროპულ გამოფენებზე გაიტანეს.

როგორც მზია ლობჯანიძემ ექსპონატების დათვალიერებისას გვიამბო.



სკოლის მოსწავლეების დასაინტერესებლად სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამაც შექმნეს. ბავშვები ეცნობიან ქვეყნის ისტორიასა და ცოდნას პრაქტიკული მუშაობის საფუძველზე იღებენ. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება

(გაგრძელება)

კი სწორედ „სამოვარებისა“ და მასზე გამოსახული წარწერების შესწავლას ეხებოდა, სპეციალურად ბავშვებისათვის მომზადებული გამადიდებელი შუშებით ამოიკითხეს და გაშიფრეს მათზე მოცემული წარწერები.

წარმოდგენილ ნივთებს შორის შეხვედებით კედელზე ძველ ხაღინაზე გაკრულ თოფ-იარაღებსაც, რომელთა გარეშეც ქართული კაცის ცხოვრება წარმოუდგენელი იყო. დაჟანგებული ღულა კი მიუთითებს, რომ საბოლოოდ ფუნქციონირებად კარგულმა ნივთებმა მუხეუმის კედლებში დაიმკვიდრეს ადგილი.

მუხეუმში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს სამუშაო იარაღებს, რომლებიც დაადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ აქ ოდითგანვე განვითარებული იყო სოფლის მეურნეობა. მრავლად შეხვედებით სათევზაო ბადეებს, რომლებიც საკმაოდ კარგი ტექნიკითაა შესრულებული და ბადის კუთხეებში ტყვიის გახვრეტილი ბურთულებითაა დამაგრებული. აქაა კოკოზა, რომელიც წარმოადგენს მოწინავე გოდორს და ფართოდ გამოიყენებოდა თევზაობისას. აქვეა ღვინის ჭურჭელი და ძველი საყოფაცხოვრებო ნივთები – ეს ყველაფერი მცირე ჩამონათვალია მათ შორის, რისი ნახვაც თქვენ აქ შეგიძლიათ. ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუხეუმის სტუმრობისას აღმოაჩენთ, რომ აღნიშნული მუნიციპალიტეტი ოდითგანვე დიდი კულტურისა და ისტორიის მატარებელი იყო, აბრეშუმის გზაზე მოქცეული, ქალაქში

# ხაშური დღეს



კი ცხოვრება აქტიურ რეჟიმში მიდინარებდა. მხოლოდ საკუთარი ქალაქის სიყვარულმა არ უბიძგა ქალბატონ მზიას, რომ ხაშური მოეხსენებინა როგორც საქართველოს გული.

„მე ყველას ვეუბნები, დადებით რკინიგზის ხიდზე, მიმოიხედეთ ირგვლივ და თქვენ თავლწინ გადაიშლება მთელი საქართველო. გამოდის, რომ, აი, ახლა ჩვენ ვიმყოფებით ქვეყნის გულში, რაც ჩვენთვის დიდი მოტივი და პასუხისმგებლობაცაა. ეს მუნიციპალიტეტი მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი გზაა ევროპასა და აზიას შორის“.

მუხეუმის მიმართ სიყვარულსა და პასუხისმგებლობას ადგილობრივი მაცხოვრებლებიც გრძნობენ, რომლებიც მნიშვნელოვან ნივთებს უსასყიდლოდ გადასცემენ მუხეუმს. აქ შეხვედებით ოჯახებიდან გამოტანილ და მუხეუმისათვის სასოსოვრად გადაცემულ სკივრებს, წიგნებსა და სხვა ძველ და საინტერესო ექსპონატს.

ყველა ადგილი ინახავს სხვებისგან გამორჩეულ ამბავს, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუხეუმშიც არ ყოფილა გამონაკლისი. სტუმრობისას, ერთი მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაცია შევიტყვევით ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მესაფლავის, მერაბ ჩანოიანის შესახებ, რომელიც ამავდროულად არქეოლოგიცაა. მას ქალაქის დასავლეთით მდებარე სასაფლაოზე წლების განმავლობაში სამარების გათხრისას უამრავი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლი მუხეუმისთვის გადაუცია. სამწუხაროდ, მიუხედავად აღმოჩენებისა და დამტკიცებისა, რომ აღნიშნული ტერიტორია მნიშვნელოვან არქეოლოგიურ არტეფაქტებს შეიცავს, შესაბამისი ღონისძიებები ჯერაც არ გატარებულა. მუხეუმის თანამშრომლებისა და სხვადასხვა არქეოლოგის მოთხოვნის მიუხედავად, საფლავების დასავლეთით გაგრძელება არ შეჩერებულა, ჩვენი ქვეყნის ისტორიული ძეგლები კი უწყურადღებობის გამო განადგურების პირასაა. საცავის მცველის, მზია ლობჯანიძის თქმით, მუხეუმში დამთავალიერებლის ნაკლებობას არ განიცდის – ხშირად სტუმრობენ ადგილობრივი თუ ჩამოსული ადამიანები და ეცნობიან არა მხოლოდ ხაშურის, არამედ მთელი საქართველოს ისტორიას. მუხეუმის თანამშრომლები კი ყოველთვის მზად არიან. გამოგზავნონ წარსულში და დაცული ნივთებით ვიწვევონ ის, რაზედაც მხოლოდ გასმენიათ ან წაგიკითხავთ. ერთადერთი, რაზეც მუხეუმის ფუნქციონირებისთვის ხელის შეშლელია, არის შესაბამისი ინფრატრუქტურის არარსებობა, იმ ძირითადი ექსპონატებს, რომლებიც ამჟამად ხაშურში. დამთავალიერებლებს ვერ უჩვენებენ, რადგან კონდიციონერების სისტემის უქონლობა პატარა სივრცეში და დაზიანების მაღალი ალბათობა, ამის საშუალებას არ იძლევა.

პრობლემაზე მუშაობა უკვე დაწყებულია. უახლოეს მომავალში ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუხეუმში შესაფერის შენობაში გადავა და ახალ სულს შთაბერავს ექსპონატებს. დამთავალიერებლებს კი ექნებათ საშუალება ქვეყნის წარსული ცხოვრების შესახებ ბევრად მეტი შეიტყონ.

ნინო წვერავა

## გზავნილი საოკუპაციო სოფლიდან

„რაშია საქმე აბა, რა გაინტერესებთ?.. გვეკითხება ბებო, რომელიც საოკუპაციო ხაზის მოსაზღვრე სოფელ ჩორჩანას ცენტრში ერთ-ერთი უანგმოდებული ღობის წინ ზის და მხიარული თვალებით გვიცქერს. აუუხსენით, რაშიც იყო საქმე „ხაშურზე აკეთებთ?“... ამბობს ქართლური აქცენტით ლიანა ბებო და მას შემდეგ, რაც ჩვენგან თანხმობას იღებს, თვალები უნ-

ათდება და გვეუბნება: „აი, ზუსტად ეგ ხაშური მაინტერესებს 80 წელია, პირველ რიგში სხვებიც... სხვებიც, ბებო, ღმერთმა ყველა კარგად ამყოფოს.“

ნელ-ნელა რამდენიმე ხანშიშესული ქალიც მოვიდა შეკრების ადგილზე. ერთი მათგანი ლიანა ბებოს გვერდით მოუჯდა და მორცხვად, თავისი ცისფერი, მაგრამ ძალიან სევდიანი და ცოტა შეშინებული თვალებით დაგვიწყო ცქერა.

- ტელევიზიაში გვაჩვენებთ მერე, ბებია?

- არა, ბებო, ეს აბრა, მანქანას რომ ადგას, ტაქ-

სის კომპანიის სახელია.

- უიჰ, - გადაიკისკისა მოხუცმა და შეეტყო რომ კიდევ უფრო მოემატა საუბრის მხნეობა.

- „პრობლემებს ხედავთ: პურს ქე ვჭამთ ყველა, მარამა გასაჭირი ბევრია, იცი, რას ვატყობ? ჩორჩანა საქართველოს რუკაზე არ არსებობს... მარტო ვადვლი, სადაც გზა კეთდება... სასწრაფო რომ დამჭირდეს, აქ მოსვლა პო უნდა შემეძლოს? ეს გზა კიდევ ყველა მანქანის ამოვლაზე უფრო და უფრო იშლება.“

- „თუ წვიმა მოვიდა, საერთოდ შეუძლებელი ხდება ამ გზაზე გავლა, - ჩაეჭრა ლიანა ბებოს გვერდიდან ერთ-ერთი ქალი.

- განე, ქალო, ორივე რძალედამთილი ხო არ ვილაპარაკებთ ჟირნალში, - გადაიკისკისა ისევ მოხუცმა.

„აქ ბანკის მანქანებიც ვერ მოდიან, რომ პენსია ავიღოთ. აქაც მხოლოდ წადვლელებს წყალობენ, თუ კონფლიქტის ზონა არის წადვლი და იქ მიდის მანქანა, ჩორჩანაში რატომ არ უნდა მოდიოდეს? კი, რატო არა, შვილია აგერ ჩემი და წამიყვანს სადაც მინდა, მაგრამ პენსიამდე რომ მივიდეთ, ოცი ლარის საწვავი სჭირდება. ზამთარში ბევრნი არ ვართ, თუმცა ზაფხულში მოდიან მოხუცები, სადაც ერთი მოსწავლეაო, ღმერთმა გაახაროთ ამის გამო, მანქანამ უნდა იაროსო და სამ პენსიონერს ფული არ სჭირდება?“ - არ ცხრებიან მოხუცები და ჩვენც მეტად ვინტერესდებით.

- რას გეუბნებიან ბანკის თანამშრომლები, რატომ არ მოვდივართ?

- ეშინიათ, შვილო, კონფლიქტის ზონააო და მიტომ.

- ასე აგრესიულები არიან ოკუპანტი სოფლის მოსახლეობის მიმართ?

- რუსები რაც შემოვიდნენ, მაგათ მიაქვთ ყველაფერი სოფლიდან, ოსებისგან არანაირი პრობლემა არაა ნეტა, ახლაც გამოივლიდნენ ჩვენთან.

- გატაცების ფაქტები რამდენად ხშირია?

- ადრე უფრო იყო, შვილო და ახლა თვითონაც ვფრთხილობთ. მათი აქ ყოფნა იმ მხრივაც გვიშლის ხელს, რომ საქონელი საძოვრებში ნორმალურად ვეღარ გაგვყავს. თუმცა, ჩორჩანას გარშემო არსებული ღვლები გვშველის: გაშლილი მინდორი არაა, რომ დაგვინახონ, თორემ ეს სოფელი ახლა ოკუპანტების საზღვრებში იქნება მოქცეული.

- ესე იგი, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაშიც გიშლიან ხელს...

- ტყეში ახალა ჯონჯოლი გაფუჭდა, უიმეე... სამი მანეთი იყო კილო, მაგრამ იმ ტყეს შიშით ვერ მიუვახლოვდით.

- რის გამო ვერ შეხვედით ტყეში?

- რვაასი ლარი გადაიხადეს გადასახადი იმისთვის, რომ მოტაცებული კაცი გამოუსყიდათ, - განერვიულებული ტონით ჩაერთო საუბარში ლიანა ბებოს შვილი, რომელიც აქამდე ღობეზე იყო ჩამოყრდნობილი და ოკუპანტებზე ჩვენი დიალოგის დროს გაქვავებული სახით მიწას მიშტერებოდა.

- ისე, ვინმე თუ ჰყოლიათ ადრე წაყვანილი?



- კი ერთი კაცი, - განაგრძობს ბებო გაბრაზებული ტონით, - მაგრამ მას ქალი ჰყავს წამოყვანილი ოსებისგან, უფრო მცირე გადასახადი გადაუხადა სიდედრმა და გამოიყვანეს აქეთ. ამ ჩემს შვილებს ვინ გადაუხდის, მითხარიოთ?!

- ოსებს რა დამოკიდებულება აქვთ თქვენთან?

- საზღვართან ახლოს მაცხოვრებელი ოსები, ახლა რომ ჩავიდეთ, პატივსაც კი მცემენ, ისინი არიან, რაც არიან... რუსები!

- რატომ არ ერიდებოდნენ ხოლმე საზღვრის დარღვევას სოფლელები?

- არც დაურღვევიათ, შვილო, საზღვარი, მაგრამ შენ დაუმტკიცებ, რომ მართალი ხარ?! როგორც უნდათ, ისე გამოიყვანენ.

- რა აზრი აქვს?! აქეთაც რომ დაგჭირდეს, გადაგიყვანს ღელის მეორე მხარეს და იქ გადაგიღებს სურათს, - ჩაერთო საუბარში ლიანა ბებოს ბიჭი.

ისევ გვერდზე მჯდომმა ქალბატონმა მიიქცია ჩემი ყურადღება რომელიც დიალოგში არ ჩართულა.

- მე კარტული ცოტა იცის, - თქვა მას შემდეგ, რაც კითხვა დაგუსვით. თუმცა, რუსულად გასაუბრების შემდეგ, განაგრძო:

(დასასრული V გვერდზე)

# ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში საჯანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, სამხარეო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ

შეხვედრები ბეკამში, ცოცხნარაში, ბიჯნისში, ქვემო აძვისში, ხცისში, მიწობში, წრომში, ვაყაში, ცხრამუხაში, ტეხერში, ქვიშხეთსა და გომში გაიმართა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერთან- გიორგი გურასკაშ-



ვილთან ერთად, მოქალაქეებს შეხვდნენ სახელმწიფო რწმუნებული შიდა ქართლის მხარეში გიორგი ხოჯევიანიშვილი, საქართველოს პარლამენტის წევრები: სიმონ ნოზაძე, კობა კობალაძე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სოლომონ პავლიაშვილი, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი, რეგიონის გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის, მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მოსახლეობის აზრი უპირველესია ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა- განხორციელებისას, რათა რესურსი სწორად გადაანაწილდეს.

მოქალაქეებმა ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს იმ პროგრამებისა და პროექტების შესახებ, რომელსაც ხელისუფლება ახორციელებს და მათში თითოეული მოქალაქის ჩართულობისა და სარგებლის მიღების მექანიზმებიც განიხილეს.

სოფელ ბეკამში შეხვედრისას, ადგილობრივებმა პრობლემად სასმელი წყალი დაასახელეს, რაზეც მიიღეს ინფორმაცია, რომ მოხდება წყლის რეზერვუარის მოწყობა და უახლოეს პერიოდში საკითხი მოგვარდება.

ცოცხნარაში - გზების მოწესრიგება, გაზიფიკაციის სამუშაოების დასრულება, საბავშვო ბაღისა და ამბულატორიის მოწყობა ითხოვეს.

სოფელ ბიჯნისში მოსახლეობამ გზების, ხიდებისა და ალტერნატიული საბავშვო ბაღის მოწყობა დაასახელა უმთავრეს პრობლემად.

სოფელ ქვემო აძვისში ადგილობრივებმა გაზიფიკაციის



სამუშაოების დასრულება და გზის მოწესრიგება ითხოვეს.

ხცისის მოსახლეობამ წყლის პრობლემის მოგვარება, სოფელ თხილნარამდე მისასვლელი გზის მოწესრიგება, სკოლაში სველი წერტილების მოწყობა და სკოლის ეზოს კეთილმოწყობა ითხოვა, მიწობში გაზიფიკირება, ამბულატორიის მოწყობა და გზების მოწესრიგება დაასახელეს პრიორიტეტებად, წრომში-სარწყავი სისტემის მოწყობა და გაზიფიკირება, სოფელ ვაყაში ყველაზე მნიშვნელოვნად საბავშვო ბაღისა და ამბულატორიის შემოღობვა, სასაფლაომდე მისასვლელი გზების მოწყობა და მდინარის ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება მიიჩნიეს.

ცხრამუხის მოსახლეობამ გზების მოწესრიგება დაასახელა ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად, ტეხერსა და ქვიშხეთში ადგილობრივებმა სასმელი წყლის სისტემის მოწყობა და შიდა გზების მოწესრიგება ითხოვეს, გომში კი ადგილობრივები რკინიგზის სადგურის მოწესრიგებას და შიდა გზების მოწყობას ითხოვედნენ. გომის მოსახლეობასთან შეხვედრაზე, ასევე, გამოიკვეთა, რომ ყველაზე მეტად სოფელს სამკურნალო პრობლემა აწუხებს, რადგან იმ ტერიტორიას, სადაც პირუტყვს საბალახოდ უშვებენ, სახნავ -სათესის სტატუსი აქვს.

საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, სამხარეო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, სოფლის მცხოვრებლებს აღნიშნული პრობლემების შესწავლა და შეძლებისდაგვარად, მათი აღმოფხვრა აღუთქვეს.

## (დასასრული)

- აქ მარტო ვცხოვრობ, გულზე მაქვს პრობლემა. ორჯერ ოპერაცია გამიკეთეს. ვერავის მივყავარ და მოვყავარ საავადმყოფოში და ეს ძალიან მაწუხებს. მეზობელი თუ დამეხმარება. მეუღლე 1986 წელს გარდაემცვალა და მას მერე მარტო ვარ, ვცდილობ თავი გავიტანო. ბევრი რამის თესლი არ არის, რომ ბაღი დავრგო და ჩემი პროდუქტი მქონდეს, - თვალები აემღვრა და ვედარ განაგრძო საუბარი.

- წყალი და გაზი თუ მოგეწოდებათ? ვცდილობთ ისევ ლაპარაკში ავიყოლიოთ მოხუცები...

- კი, შვილო, გვაქვს მიღებით გაყვანილი წყალი, რომელიც ორი წლის წინ გაგვიკეთეს, ასევე ეზოში ჭებიც არის, - საუბარს დაუბრუნდა ლიანა ბებო.

- გაზი?

- ვერც ამას დაუკარგავ - გაზი არის, შემის ფულსაც გვაძლევენ და თან გაზსაც უფასოდ ვიყენებთ. წელიწადში თითო ოჯახს ორასი ლარის ლიმიტი აქვს და გადასახადი არ გვხვდება, შუქის ფულიც განახევრებულია.

სოფელი ნელ-ნელა იცვლება, განსაკუთრებით, ეს ახალგაზრდებს ეხებათ, რომლებსაც აქ ხელ-ფეხი აქვთ შეკრული ოკუპანტებისგან.

- ახალგაზრდები არიან შვილო, რომ გამოივლიან, ლოცვის მეტს რას გავაკეთებ, თქვენც დაგლოცოთ ღმერთმა, მაგრამ სად გაჩერდნენ, რისთვის გაჩერდნენ?! აქ არაფერი ხდება.

- ზოგადად, ამ პრობლემების გამო ბევრი ტოვებს სოფელს?

- აგერ, ეს სახლი ცარიელია, ის სახლიც ცარიელია, გადაწყვეით ამ ორდობეს, ბევრ ასეთ ადგილს ნახავთ, ლიანა ბებომ, როგორც ჩანს, რძალს საუბრის ნება დართო, შემდგომ კი მისმა ბიჭმა განაგრძო:

- ჩემი შვილი ცხეთიჯვარში მუშაობს დაცვად, თუმცა უკვე ოთხი დღეა, წასულია. გამომართვა მანქანა და არ მოსულა. ასფალტზე რომ ფეხს დადგამს, ტალახში ჩამოვა ისევ?!

ცოტა ხნით სოფლის ცენტრში შეკრებილ მოხუცებს დავემშვიდობეთ და ახალგაზრდებისკენ წავედით, რომლებიც ორდობეში ისხდნენ და საუბრობდნენ. გზად ერთ-ერთი მიტოვებული სახლის ეზოში შევედით. ნანგრევებში და მუხლებამდე ბალახში გავიკვლიეთ გზა და მერე სარ-

თულზე არც ისე სანდო კიბეებით ავედით. აივნის ბეტონი ნახევრად ჩანგრეული იყო, თავიდან უკან დაბრუნება გადავწყვიტეთ, თუმცა ღია კარმა შეგვიტყუა. კარი შევადეთ და უიმედობის სამყაროში აღმოვჩნდით. თოჯინა, რომელიც პირქვე იყო დამსობილი, საწოლზე დაყრილი სათამაშოები, რომლებსაც თავზე გაშავებული და შპალერჩამოხეული კედლები დაჰყურებდა. გაურცხავი, ან საჭმლით ნახევრადსავსე ჭურჭელი თითქოს, პატრონი გაბრაზდა, გაცეცხლდა და აქაურობის ყოველდღიურობას უკან მოუხედავად გაქცა. აღარც ისინი წაიღო, რაც ჩორჩანას მოაგონებდა.

უსიამოვნო სანახაობის შემდეგ, მომდომარ ბიჭებს შევეურთდით.

- რასაც ხედავთ ყველაფერი ეგერა, სხვა არაფერი ხდება.. საერთოდ პერსპექტივა არაფერია, მხოლოდ მიწას თუ დაამუშავებ.

- რით ერთობით ხოლმე? \_ კვითხე ბიჭებს, რომელუბსაც ძალიან ეუცნაურად კითხვა და ჩაეცინათ.

- ვლაპარაკობთ და ეგაა ჩვენი გართობა.

- არც სტადიონი გაქვთ?

- არა, არანაირი ინფრასტრუქტურა არაა, რასაც ხედავთ. მხოლოდ ამაში ვცხოვრობთ და ამით ვერთობთ თავს.

ბიჭებს დავემშვიდობეთ და გზად ლიანა ბებოს შევეურთდით სახლში.

- ყავაზე დაგვატიუებთ, ბებიკო, რა იქნება, ჰა?

- ჟურნალით ჩამოვალ, რომლის მთავარი ვარსკვლავი თქვენ იქნებით, ბებო, და მერე დაგვატიუეთ, - შეგპირდით და დავემშვიდობეთ.

აგტომობილში სამნი ვისხედით. დაახლოებით, ნახევარი საათი ვიმგზავრეთ მომდევნო სოფლიდან და ამ დროის განმავლობაში ხმა არცერთს ამოგვიღია. შეიძლება, ყველა ამ ახლგაზრდებს ფიქრობდა, რომელთა ხვალისდელი და ზეგინდელი დღე დღევანდელის მსგავსი იქნებოდა, ან მოხუცებზე - რომლებიც ერთი მედიკამენტის ფულს ბანკის აბტომობილამდე მგზავრობაში იხდიდნენ..

ვინ იცის?!

კახა უიფიანი.

# "ლესიაობა" სურამში

(დასასრული)

უკრაინისა და საქართველოს მეგობრობის კიდევ ერთხელ განმტკიცებისა და დადასტურების დღეა. ჩვენი ქალაქი, ამ საპასუხისმგებლო დღეს, განსაკუთრებული მზადებით ხვდება, რათა უკრაინელ სტუმრებს ვახვენოთ, რამდენად დიდა ჩვენი პატივისცემა იმ პოეტი ქალის სსოვნის მიმართ, რომელმაც ურყევი ხიდი გადო მოძვე ქვეყნებს შორის.

უკრაინის ქალაქ ნოვოგრად ვოლინსკის წარმომადგენლებმა, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, გვირგვინით შეამკეს ლესია უკრაინკას ბიუსტი, რის შემდეგაც, გაიმართა კონცერტი, სადაც მონაწილეობდნენ, როგორც უკრაინელი მომღერლები, ასევე ადგილობრივი შემსრულებლები, ფოლკლორული ჯგუფები და ინდივიდუალური შემსრულებლები. სტუმრებ-



მა გადაიღეს სამახსოვრო ფოტო და სურამის მესამე საჯარო სკოლისკენ გაემართნენ, სადაც ღონისძიების მეორე ნაწილი ელოდათ. სკოლის მოსწავლეები, საქართველოსა და უკრაინის დროშის აღმართული მიეგებნენ სტუმრებს. სურამის მესამე საჯარო სკოლა, მასპინძელია ლესიაობის ღონისძიების და სტუმრებს ყოველთვის განსაკუთრებულად მასპინძლობენ. მოსწავლეებმა უკრაინული ცეკვის, სიმღერის შემდეგ, უკრაინულად წაითხეს ლექსები ლესია უკრაინკას



შემოქმედებიდან რითაც ნამდვილად ასიაშინეს სტუმრებს. კონცერტის დასრულების შემდეგ, მოწონებას და მადლიერებას ვერ მალავდა უკრაინული მხარე. მათ სკოლას, სიმბოლური სახის საჩუქარი გადასცეს წიგნის სახით, ხოლო სამადლობელ სიტყვაში, კიდევ ერთხელ დაადასტურეს ორი ქვეყნის ურყევი და მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა.

რომან ანატოლის ძე სედლიცკი (ქალაქის საბჭოს დეპუტატი):  
-წელს პირველად ვიმყოფები საქართველოში ამ მისიით და მიხარია, რომ ეს პატივი მხვდა წილად. საქართველომ და, კერძოდ, სურამმა, დიდი სიყვარულით მიიღო და გაითავის ლესია უკრაინკა, რომელმაც საუკუნეების მეგობრობას ჩაუყარა სათავე, რომელიც მომავალშიც მრავალ ასეთ წელს დაითვლის და კიდევ ბევრ ემოციას შემოინახავს. ვულოცავ ორივე ერს ამ დღეს. ბედნიერები ვართ თქვენთან მეგობრობით!

იგორ გენადის ძე იუშმანოვი (ქალაქის საბჭოს დეპუტატი, დელეგაციის ხელმძღვანელი):  
-ჩვენი ქვეყნები ისტორიული მეგობრები არიან, რაც უფრო გაამყარა ლესია უკრაინკამ. ეს ჩემი პირველი ვიზიტი არაა საქართველოში. ყოველ ჯერზე უფრო მალე ვიქვენი სტუმართმოყვარეობა და ემოცია, რომელსაც არ იშურებთ. ჩვენი ურთიერთობები მხოლოდ ერთჯერადი და კულტური ხასიათის არაა, ჩვენ ქვეყნებს სხვა, მნიშვნელოვანი ურთიერთობებიც აქვთ, რაც ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანი და მომავალზე გათვლილია.

თამარ ჯობაძე:  
-ჩვენი სკოლა, მოგესხენებათ, ლესია უკრაინკას სახელს ატარებს, რაც დიდი პატივი და ამავედროულად პასუხისმგებლობაცაა. ყოველწლიურ მასპინძლობასაც, ტრადიციულად, წლებია, ჩვენ ვწევთ. მიუხედავად ამისა, მდელვარება მაინც დიდია. სკოლაც, მოსწავლეებიც, ორგანიზატორებიც განსაკუთრებულად ვემზადებით ამ დღისთვის, რათა უკრაინელებს ვახვენოთ, როგორ სათუთად ვუფრთხილდებით იმ ადამიანის ხსოვნასა და სახელს, რომელმაც მეგობრობის პიში უმღერა ორივე ქვეყანას.

# ხაშურის საპატიო მოქალაქეები

ესეც მშვენიერი ტრადიცია-ხაშურქალაქობაზე ხაშურის საპატიო მოქალაქეები სახელდება. ადამიანები, რომლებსაც უდიდესი დედალი მიუძღვით ქალაქის მუნიციპალიტეტის კულტურული თუ ეკონომიკური წინსვლის საქმეში. არც წლებიანდელი დღესასწაული ყოფილა გამონაკლისი და საპატიო მოქალაქეთა კოორტას კიდევ სამი ღირსეული პიროვნება შეემატა: ზენაბ ხმიადაშვილი (სურათზე ზემოთ), ცნობილი ექიმი, რომლის დედალი მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის სფეროს განვითარებაში მართლაც დიდა; გიორგი ხაჩიძე (სურათზე



შუაში), პედაგოგი, სურამის II საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი, რომელმაც ასეულობით მოსწავლე აღზარდა და სამშობლოს სამსახურში ჩააყენა; ლიანა ტატიშვილი, მუსიკოსი, კომპოზიტორი, ხელოვანი ქალბატონი, რომლის გარეშეც ქალაქის მუსიკალური ცხოვრება ბოლო ათწლეულებში, უბრალოდ წარმოუდგენელია.

ჩვენს მკითხველთან ერთად, ვულოცავთ მათ ამ საპატიო ტიტულს და გვჯერა, რომ ისინი კიდევ მრავალი წელი იმოღვაწევენ მშობლიური ქალაქის კეთილდღეობისათვის.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27. E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499. **ღ**-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.